ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №57/ბ

ქ. თბილისი „21“ „02“ 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ, ი/მ თენგიზ თევზაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2014 წლის ასიგნებების ფარგლებში ელექტრო სადენის შესყიდვაზე (CPV კოდი 31300000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი 160 (ას სამოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
სპილენძის ელექტრო სადენი FVVU2X2,5	100 მეტრი	1 მეტრი 1.60 ლარი	160 ლარი
		სულ ჯამი:	160 ლარი

4. საქონლის მიწოდების პირობები
4.1. ვადები:
4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. ადგილი:
4.2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამ. №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები
6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად საქონლის მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №1), და მიმწოდებლის მიერ ფინანსური დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი
არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი მიხეილ ჟიჟილაშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 1 მაისამდე.

16. დასკვნითი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (-- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
თბილისი, 0119, წერეთლის გამზ №144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

დავით ლომაძე
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი"

ი/მ თენგიზ თევზაძე
ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი თემქა მე-3 მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, კორპ. 45, ბინა 43.
სს "პროკრედიტ ბანკი"
ელ/ განყოფილება
კოდი № MIBGGE22
ა/ა GE32PC0223600100010576
ს/კ №17001001725

თენგიზ თევზაძე
ინდივიდუალური მეწარმე

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „___“ „_____” 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მ.შ. _____
და, მეორე მხრივ, მომწოდებელი
(ორგანიზაციის დასახელება)
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2014 წლის „“ „ № ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

თვეში მოწოდებული საქონლის ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად) (თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია

საქონლის ღირებულება, ანაზღაურებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის
   უფროსის მ.შ.

2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

ბ. ა.

ჩააბარა

1. ხელმძღვანელი

2. მთავარი ბუღალტერი

ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „21“ „02“ 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ ი/მ თენგიზ თევზაძის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. ლომიძე

გ. კაკუშაძე

შ. ბაღაშვილი

გ. გიორგობიანი

ა. მამალაძე

მ. ჟიჟილაშვილი